

ბიპი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი და ბიპი ექსპლორეიშენ (შაჰ დენიზ) ლიმიტედი თავიანთი ბიზნესსაქმიანობის შედეგებს აქვეყნებენ პრესრელიზის სახით. ბიპი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი აზერი-ჩირაგ-გუნაშლის საბადოს ოპერატორი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მმართველი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის მილსადენების საერთო ოპერატორია. ბიპი ექსპლორეიშენ (შაჰ დენიზ) ლიმიტედი შაჰ დენიზის საბადოს ოპერატორია. თითოეული ამ საწარმოთაგანი გვაწვდის მათი პროექტების შესაბამის ინფორმაციას, და აკეთებს განცხადებებს თავიანთი პროექტების შესახებ.



ინფორმაცია ბიზნესსაქმიანობის შესახებ 2021 წლის 1-ლი ნახევარი

2021 წლის 5 აგვისტო

აზერი-ჩირაგ-გუნაშლი (ACG)

ACG-ის წილობრივი მონაწილეობა: bp (30.37%), SOCAR (25.0%), MOL (9.57%), INPEX (9.31%), Equinor (7.27%), ExxonMobil (6.79%), TPAO (5.73%), ITOCHU (3.65%), ONGC Videsh Limited (OVL) (2.31%).

ბიპი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი ACG-ის ოპერატორია, ACG-ის პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეების სახელით.

2021 წლის პირველ ნახევარში, ACG-ის საქმიანობის ფარგლებში ჩვენი საოპერაციო დანახარჯი დაახლოებით 266 მილიონ აშშ დოლარი იყო, ხოლო კაპიტალური დანახარჯი კი 846 მილიონ აშშ დოლარს აღემატებოდა.

პანდემიის გამოწვევების და შეზღუდვების მიუხედავად, წლის პირველ ნახევარში Azeri Central East-ის (ACE) პროექტმა საოცარი სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნა, ბიპი-ს სხვა პროექტების მსგავსად.

ბაქოში ძირითადი მოწყობილობების და დიდი მოცულობის ტვირთის ჩამოტანამ ხელი შეუწყო სამუშაოების შესრულებას წარმოების გრაფიკის შესაბამისად.

ACE-ს პლატფორმის წყლისზედა და საბურღი მოწყობილობების სამუშაოები გაგრძელდა ბიბი-ჰეობათის საწარმოო ეზოში. გაგრძელდა მექანიკური პაკეტის ინსტალაცია, დაიწყო მილების წარმოება, აღმართვა და კაბელის გაყვანა. მოწყობილობების მიღებაც გძელდება. საცხოვრებელი მოდულები ჩამოვიდა ბაქოში.

ჰეიდარ ალიევის სახელობის ბაქოს ღრმაწყლების გარსაცმის ქარხანაში გაგრძელდა სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით.

ზოგადად, საინჟინრო, შესყიდვის და წარმოების სამუშაოები გრაფიკის მიხედვით გაგრძელდა, რაც ხელს უწყობს ACE-ის პროექტიდან პირველი გაზის მიღებას 2023 წელს.

2021 წლის პირველ ნახევარში ACG-მ დაასრულა მაღალი სიხშირის სეისმური კვლევა რეზერვუარის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია წარმოების გეგმის და წყლის ინიექციის სამუშაოების გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ საბადოს წარმოების მაქსიმალურად ეფექტურად მართვის საშუალებას იძლევა.

წარმოება

მეორე კვარტალში, ACG-მ გააგრძელა უსაფრთხო და საიმედო წარმოება. მთლიანად ACG-მ წლის პირველ ნახევარში საშუალოდ დღეში 468,000 ბარელი ნავთობი აწარმოა. (ჯამში 85 მილიონი ბარელი ანუ 11 მილიონი ტონა) შემდეგი პლატფორმებიდან: ჩირაგიდან (30,000 ბ/დ), ცენტრალური აზერიდან (111,000 ბ/დ), დასავლეთ აზერიდან (118,000 ბ/დ), აღმოსავლეთ აზერიდან (78,000 ბ/დ), გუნემლის ღრმაწყლებიდან (88,000 ბ/დ) და დასავლეთ ჩირაგიდან (43,000 ბ/დ).

პირველი კვარტლის ბოლოს, 131 ჭაბურღილი აწარმოებდა ნავთობს, აქედან 44 ჭაბურღილი წყლის და რვა კი გაზის ინიექციისათვის იყო გამოყენებული.

ბურღვა და პროექტების დასრულება

2021 წლის პირველ ნახევარში, ACG-მ დაასრულა ექვსი ნავთობის მწარმოებელი და ორი ინიექციის ჭაბურღილი.

ასოცირებული გაზი

წლის პირველ ნახევარში, ACG-მ სოკარისთვის საშუალოდ დღეში 9.1 მილიონი კუბური მეტრი ასოცირებული გაზი აწარმოა (ჯამში 1.6 მილიარდი კუბური მეტრი). ძირითადად სანგაჩალის ტერმინალიდან, ამასთანავე სოკარის ნავთობის ქანების ობიექტიდან. წარმოებული ასოცირებული გაზის ნარჩენის რეინიექცია განხორციელდა რეზერვუარში წნევის შესანარჩუნებლად.

სანგაჩალის ტერმინალი

2021 წლის პირველ ნახევარში, ACG-ის და Shah Deniz-ის საბადოებიდან მოპოვებული ნავთობი და გაზი ზღვისქვეშა მილსადენებით სანგაჩალის ტერმინალისკენ მიედინებოდა.

ტერმინალს ამჟამად დღეში 1.2 მილიონი ბარელი ნედლი ნავთობის და კონდენსატის გადამუშავება და შაჰ-დენიზის საბადოზე მოპოვებული დაახლოებით 85 მილიონი სტანდარტული კუბური მეტრი გაზის გადამუშავება შეუძლია. თუმცა საერთო ჯამში ტერმინალის გაზის გადამუშავების და ექსპორტის სიმძლავრე, ACG-ს ასოცირებულ გაზთან ერთად დაახლოებით დღეში 100 მილიონი სტანდარტული კუბური მეტრია.

პირველი ექვსი თვის განმავლობაში სანგაჩალის ტერმინალმა 115 მილიონზე მეტი ბარელი ნავთობის და კონდენსატის ექსპორტი განახორციელა. მათ შორის, 99 მილიონი ბარელი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გავლით და 16 მილიონ ბარელზე მეტი დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (ბაქო-სუფსის) გავლით.

გაზის ექსპორტი განხორციელდა სამხრეთ კავკასიის მილსადენის, სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოების სისტემის და სოკარის გაზის მილსადენების საშუალებით, რომელიც სანგაჩალის ტერმინალის გაზის გადამამუშავებელ მოწყობილობებს აზერიგაზის ეროვნულ გამანაწილებელ სისტემასთან აკავშირებს.

წლის პირველ ნახევარში, სანგაჩალის ტერმინალიდან ექსპორტზე დღეში საშუალოდ 56 მილიონ სტანდარტულ კუბურ მეტრზე მეტი შაჰ-დენიზის გაზი გადიოდა. (დაახლოებით 1,930 მილიონ სტანდარტულ კუბურ ფუტზე მეტი).

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BTC)

The BTC Co.-ს აქციონერები არიან: bp (30.1%); AzBTC (25.00%); MOL (8.90%); Equinor (8.71%); TPAO (6.53%); Eni (5.00%); Total (5.00%), ITOCHU (3.40%); INPEX (2.50%), ExxonMobil (2.50%) and ONGC (BTC) Limited (2.36%).

2021 წლის პირველ ნახევარში, BTC-ს საქმიანობის ფარგლებში ჩვენი საოპერაციო დანახარჯი 69 მილიონ აშშ დოლარზე მეტი იყო და კაპიტალური დანახარჯი კი 12 მილიონ აშშ დოლარს აღემატებოდა.

1768კმ სიგრძის მილსადენმა 2006 წლის ივნისში ფუნქციონირების დაწყებიდან 2021 წლის მეორე კვარტლის ბოლომდე ჯამში 3.66 მილიარდი ბარელი ნედლი ნავთობი გაატარა (488 ტონაზე მეტი). 4,796 ტანკერი დაიტვირთა და გაიგზავნა მსოფლიო ბაზრებზე.

2021 წლის პირველ ნახევარში, დაახლოებით 99 მილიონი ბარელი (13 მილიონ ტონაზე მეტი) ბი-თი-სი-ს მიერ ექსპორტირებული ნედლი ნავთობი ჯეიჰანის ტერმინალზე 137 ტანკერში ჩაიტვირთა.

ბი-თი-სი ამჟამად ძირითადად აზერბაიჯანიდან ACG-ის ნედლი ნავთობის და შაჰ-დენიზის კონდენსატის ტრანსპორტირებას ახორციელებს. ბი-თი-სი-ს საშუალებით ასევე გრძელდება ნედლი ნავთობის და კონდენსატის სხვა მოცულობების ტრანსპორტირება, მათ შორის თურქმენეთიდან, რუსეთიდან და ყაზახეთიდან.

შაჰ-დენიზი

Shah Deniz-ის წილობრივი მონაწილეობა: bp (operator – 28.8%), TPAO (19.0%), PETRONAS (15.5%), AzSD (10.0%), LUKOIL (10.0%), NICO (10.0%), SGC Upstream (6.7%),

2021 წლის პირველ ნახევარში, შაჰ-დენიზის საოპერაციო დანახარჯმა 1.14 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა, ხოლო კაპიტალური დანახარჯი 366 მილიონ აშშ დოლარს აღემატა, მათ შორის უმეტესი შაჰ-დენიზ 2-ის პროექტთან იყო დაკავშირებული.

წლის მეორე კვარტალში შაჰ-დენიზმა იუბილე იზეიმა, 25 წელი მას შემდეგ რაც ხელი მოეწერა ხელშეკრულებას შაჰ-დენიზის პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ. 1996 წლის 4 ივნისს შედგა ხელმოაწერა სოკარსა და უცხოური კომპანიების

კონსორციუმს შორის, პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ. მოხდა ხელშეკრულების რატიფიკაცია მილი მეჯლისის მიერ და იმავე წლის 17 ოქტომბერს ხელშეკრულება ძალაში შევიდა. შაჰ-დენიზის 25 წლის იუბილე მნიშვნელოვანი ეტაპია აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის უახლეს ისტორიაში.

წარმოება

პირველ ექვს თვეში შაჰ-დენიზის საბადომ განაგრძო გაზის მიწოდება ბაზრებისთვის აზერბაიჯანში (სოკარისთვის), საქართველოში (საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციისთვის და სოკარისთვის), თურქეთში (ბოტაშისთვის) და კომპანია ბი-თი-სი-სთვის სხვადასხვა ლოკაციებზე. 2020 წლის 31 დეკემბერს დაწყებული გაზის მიწოდება მყიდველებისთვის ევროპაში გაგრძელდა 2021 წლის პირველ ნახევარშიც.

2021 წლის პირველ ნახევარში საბადომ ჯამში 10 მილიარდ სტანდარტულ კუბურ მეტრზე მეტი გაზი აწარმოა და დაახლოებით 1.9 მილიონი ტონა (15.1 მილიონი ბარელი) კონდენსატი პლატფორმებიდან შაჰ-დენიზ ალფა და შაჰ-დენიზ ბრავო.

შაჰ-დენიზის არსებული მოწყობილობების საწარმოო სიმძლავრე ამჟამად დღეში 70 მილიონ სტანდარტულ კუბურ მეტრ გაზზე მეტია, რაც წელიწადში 25 მილიარდ კუბურ მეტრს აღემატება.

პროექტი შაჰ-დენიზ 2

2021 წლის მეორე კვარტალში, შაჰ-დენიზ 2-ის პროექტმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა და ღრმაწყლების აღმოსავლეთ სამხრეთის ფლანგიდან (540მ სიღრმეზე) 2021 წლისთვის დაგეგმილი წარმოება 30 ივნისს დაიწყო. სავარაუდოდ ფლანგი წარმოების პიკს მესამე კვარტალში მიაღწევს.

ბურღვა

წლის მეორე კვარტლის განმავლობაში, შაჰ-დენიზის ალფა პლატფორმის საბურღი დანადგარი სრული დატვირთვისთვის მზადყოფნის რეჟიმში მუშაობდა.

ნახევრადჩადირული საბურღი დანადგარის საშუალებით დასრულდა წყალქვეშა ჭაბურღილების შაჰ-დენიზ-ეფ03-ის, შაჰ-დენიზ-ეფ04-ის და შაჰ-დენიზ-სი05-ის ბურღვის სამუშაოები. მაერსკ ექსპლორერმა შეასრულა შაჰ-დენიზ-ეიჩ03-ის ქვედა სექციის ბურღვის სამუშაოები საბოლოო სიღრმემდე და ჭაბურღილი დროებით შეაჩერა.

ზემოთხსენებული საბურღი დანადგარების საშუალებით საერთო ჯამში 21 ჭაბურღილის ბურღვა დასრულდა და აქედან 19 შაჰ-დენიზ 2-ის წარმოებისთვის და წარმოების შემდგომი ზრდისთვის განხორციელდა. დასრულებულ ჭაბურღილებში შედის ოთხი ჭაბურღილი ჩრდილოეთის ფლანგზე, ოთხი დასავლეთის, ოთხი აღმოსავლეთ-სამხრეთის, სამი დასავლეთ-სამხრეთის და ორი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ფლანგებზე. ორი ჭაბურღილი დასავლეთ-სამხრეთის ფლანგზე, ერთი ჩრდილოეთის და ერთი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ფლანგებზე საბოლოო სიღრმემდე გაიბურღა და დროებით შეჩერდა.

სამხრეთ კავკასიის მილსადენი

The SCP Co-ს აქციონერები არიან: bp (28.8%), TPAO (19.0%), PETRONAS (15.5%), AzSCP (10.0%), NICO (10.0%), LUKOIL (10.0%), SGC Midstream (6.7%).

2021 წლის პირველ ნახევარში, SCP-ს საოპერაციო დანახარჯი ჯამში დაახლოებით 27 მილიონ აშშ დოლარი იყო და კაპიტალური დანახარჯი კი დაახლოებით 11 მილიონ აშშ დოლარი.

SCP 2006 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და შაჰ-დენიზის გაზს აწვდის აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს. მილსადენის გაფართოების პროექტიდან თურქეთისთვის გაზის კომერციული მიწოდება 2018 წლის ივნისში დაიწყო და ევროპისთვის კი 2020 წლის დეკემბერში.

2021 წლის პირველ ნახევარში, SCP-ის გაზის საშუალო გატარება იყო 46.51 მილიონი კუბური მეტრი დღეში.

სადიებო სამუშაოები

2021 წლის მარტში შაფაგ-ასიმანის საზღვაო ბლოკზე დასრულდა ბურღვის სამუშაოები პირველ საექსპლუატაციო ჭაბურღილზე, ფასილას რეზერვუარის საბაზისო დონეზე, 7189 მეტრის სიღრმეზე. შეღწეულ რეზერვუარებში გაზის კონდენსატის რესურსებია. თუმცა, რესურსებს შემდგომი შეფასება დასჭირდება და ამიტომ გადაწყდა ჭაბურღილის შეჩერება, შეფასების შედეგების გამოსავლენად და შემდეგი ნაბიჯების დასაგეგმად, პოტენციურად შეფასებისთვის საჭირო გვერდითი ჭაბურღილის ჩათვლით.

მეჩხერწყლიანი აბშერონის ნახევარკუნძულის სამ მოსალოდნელ პერსპექტიულ არეაზე სადიებო ჭაბურღილების ბურღვისთვის მზადება გრძელდება. ბუნებრივ და

სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის პირველი საჯარო განხილვა 2020 წლის აგვისტოში შედგა, რასაც მოყვა მთავრობის მიერ მისი დამტკიცება 2021 წლის იანვარში. პირველი სამი ებო ჭაბურღილის მოწყობა 2021 წლის მესამე კვარტალში იგეგმება.

D230-ზე მიმდინარეობს სეისმური მონაცემების ინტერპრეტაცია. თუკი სეისმური კვლევის ინტერპრეტაციის შედეგები დადებითი იქნება, ბი-პი-მ შესაძლოა საექსპლუატაციო ჭაბურღილის გეგმის შემუშავება დაიწყოს.

ადამიანები

2021 წლის მეორე კვარტალში კომპანიაში 231 საქართველოს მოქალაქე იყო დასაქმებული.

ბი-პი საქართველოს თანამშრომლების 99%-ზე მეტი საქართველოს მოქალაქეა.

ბი-პი-ს ძალისხმევა მიმართულია თანამშრომლების სწავლების და განვითარების პროგრამების ოპტიმიზაციისკენ და კომპანია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საზოგადოებრივი და კერძო სექტორის ინიციატივებში, რათა წვლილი შეიტანოს ადგილობრივი ტალანტის ბაზრის განვითარებაში.

სოციალური ინვესტიციები

საქართველოში, ისევე როგორც კასპიის რეგიონში, ბი-პი-ს პროექტების წარმატება გარკვეულწილად დამოკიდებულია ოპერატორის შესაძლებლობაზე შექმნას ხელშესახები სარგებელი ამ პროექტებიდან რეგიონის მოსახლეობისთვის. ამის მისაღწევად ბი-პი და მისი პარტნიორები აგრძელებენ მნიშვნელოვანი სოციალური ინვესტიციების პროექტების განხორციელებას, მათ შორის განათლების დარგში, ადგილობრივი მოსახლეობის უნარ-ჩვევების და შესაძლებლობების გაზრდის, და მოსახლეობისთვის სოციალური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით, მცირე ბიზნესის წამოწყების და მისი განვითარების ხელშეწყობისთვის, დაფინანსების და ტრენინგების საშუალებით. ასევე კულტურული მემკვიდრეობის და სპორტის ხელშეწყობის და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ტექნიკური მხარდაჭერის საშუალებით.

2021 წლის პირველ ნახევარში, ბი-პი-მ და პარტნიორებმა, რომლებიც იმ ერთობლივი საწარმოების აქციონერები არიან, რომელთა ოპერატორიც ბი-პი-ა, საქართველოში განხორციელებულ სოციალურ პროგრამებში და პროექტებში 0.2 მილიონი აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელეს.

ქვემოთ მოცემულია საქართველოში განხორციელებული სოციალური ინვესტიციების პროექტების ზოგიერთი მაგალითი:

- ბი-პი (იმ ერთობლივი საწარმოების აქციონერების სახელით, რომელთა ოპერატორიც საქართველოში ბი-პი-ა) აგრძელებს ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის პროგრამას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის მილსადენების გასწვრივ მცხოვრებ თემში. ამჟამად პროგრამა უკვე მე-6 ფაზაშია და 98 ადგილობრივ თემში მუშაობს. მე-6 ფაზის ბიუჯეტი დაახლოებით 1.6 მილიონი აშშ დოლარია და მისი განხორციელება 2018 წლის აგვისტოში დაიწყო და 2021 წლის დეკემბერში დასრულდება.
პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადგილობრივი თემების გააქტიურებას და მათ ჩართულობას ისეთი პროექტების განხორციელებაში, რომლებიც მათი თემის საერთო ინტერესებს ემსახურება. პროგრამის ფარგლებში ასევე პრიორიტეტულია ბიზნეს-შესაძლებლობების ხელშეწყობა და ძლიერი კერძო სექტორის ჩამოყალიბება, რაც დამწყები მცირე ბიზნესების და აგრო-ბიზნესის დახმარებით მიიღწევა.

პროგრამის შედეგები, 2021 წლის მეორე კვარტალი:

- 4 ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი განხორციელდა, (ჯამში პროექტის განმავლობაში 41)
 - 30 ხე დაირგა ინფრასტრუქტურის პროექტების ტერიტორიის გამწვანების მიზნით (ჯამში 480)
 - 18,600- მა ოჯახმა მიიღო სარგებელი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტებიდან.
 - 15 მცირე ბიზნესის წამოწყება დაფინანსდა, (ჯამში 210)
 - ბიზნესების 66% მართავენ ქალები
 - თვეში ბიზნესის მოგება საშუალოდ 1600-დან 3100 ლარამდეა
 - 53-მა ფერმერმა მიიღო მანაწილეობა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის და გლობალური დათბობის შესახებ ცნობიერების გაზრდის სესიებში (ჯამში 148).
- ბი-პი (იმ ერთობლივი საწარმოების აქციონერების სახელით, რომელთა ოპერატორიც საქართველოში ბი-პი-ა) აგრძელებს მცირე ბიზნესის განვითარების პროექტს ბაქო-სუფსის მილსადენის გასწვრივ მცხოვრებ

თემებში. ამჟამად პროგრამა უკვე მე-3 ფაზაშია და 121 ადგილობრივ თემში მუშაობს. მე-3 ფაზის ბიუჯეტი დაახლოებით 0.7 მილიონი აშშ დოლარია და მისი განხორციელება 2018 წლის ივლისში დაიწყო და 2021 წლის დეკემბერში დასრულდება.

პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მილსადენების გასწვრივ მცხოვრები თემების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას როგორც მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობით ასევე არსებული მცირე ბიზნესის გაფართოების საშუალებით. ასევე პრიორიტეტულია მეწარმეების უნარ-ჩვევების გაძლიერება. მათთვის ბიზნესის მართვის ცოდნის მიწოდების საშუალებით.

- 16 მცირე ბიზნესის წამოწყება დაფინანსდა (ჯამში პროექტის განმავლობაში 264)
- 22 არსებული ბიზნესის შემდგომი გაფართოება დაფინანსდა (ჯამში 40)
- 290 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა ამ ბიზნესების მიერ
- თვეში ბიზნესის მოგება საშუალოდ 520-დან 3000 ლარამდეა
- 179 შეხვედრა ჩატარდა ბიზნესებთან სადაც მათ ბიზნესის უკეთ წარმართვის რჩევები მიიღეს (ჯამში 1850)
- 68-მა ფერმერმა მიიღო მანაწილეობა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის და გლობალური დათბობის შესახებ ცნობიერების ამაღლების სესიებში (ჯამში 110)
- **ბი-პი საქართველოში პარალიმპიური კომიტეტის ოფიციალური პარტნიორია** და პარალიმპიელი ელჩი სპორტსმენები ჰყავს. პარტნიორობა 2012 წლიდან დაიწყო და ჩვენმა სპორტსმენებმა მრავლი წარმატება მოუტანეს საქართველოს საერთაშორისო არენაზე. წარმატებას ვუსურვებთ პარალიმპიურ კომიტეტს და პარასპორტსმენებს ტოკიოს 2021 წლის პარალიმპიადაზე.
- **ბი-პი-ს მიერ ინიცირებული და დაფინანსებული ინგლისური ენის სწავლების პროგრამა ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის.** წელს 60 ჟურნალისტი სწავლობდა ბრიტანეთის საბჭოს მიერ უშუალოდ ჟურნალისტებისთვის შერჩეული პროგრამით.

დაგვიკავშირდით: ბი-პი-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, თამილა
ჩანტლაძე 599963301; chantlat@bp.com